

შპს არტსტუდიო-პროექტი
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)			
	კომ.	31.12.19	31.12.18
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	939,591.31	696,236.39
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	816,174.92	330,627.07
მარაგები		14,517.78	12,766.56
სხვა მიმდინარე აქტივები	5	107,844.92	99,952.56
		1,878,128.93	1,139,582.58
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	204,806.79	179,982.96
		204,806.79	179,982.96
		2,082,935.72	1,319,565.54
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	1,831,493.90	1,238,636.22
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
		1,831,493.90	1,238,636.22
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200.00	200.00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		251,241.82	80,729.32
		251,441.82	80,929.32
		2,082,935.72	1,319,565.54

დირექტორი

ი. სკალვინი



ბუღალტერი

ხ. სარიშვილი

Handwritten signature of H. Sarishvili.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	2019	2018
ამონაგები მომსახურებიდან	2,285,921.88	1,596,220.37
მომსახურების თვითღირებულება	(521,378.65)	(358,971.12)
საერთო მოგება	1,764,543.23	1,237,249.25
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,294,985.48)	(1,107,332.13)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27,369.42)	(31,528.72)
იჯარის ხარჯი	-	(29,836.96)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(245,416.65)	(185,098.74)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,567,771.55)	(1,353,796.55)
საოპერაციო მოგება	196,771.68	(116,547.30)
მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(26,259.18)	(23,292.78)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	170,512.50	(139,840.08)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	170,512.50	(139,840.08)

დირექტორი
ი. სკალვინი



ბუღალტერი
ხ. სარიშვილი

Handwritten signature of H. Sarishvili in blue ink.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს არტსტუდიო-პროექტი (ს/ნ 204489393, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2005 წლის 18 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ. ტაბიძის ქ., N3/5.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- გიორგი სულაბერიძე (პ/ნ 01008003578) – 50%;
- ვასილ წერეთელი (პ/ნ 01005002922) – 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ოთარ სულაბერიძე (პ/ნ 01008047000);
- დირექტორი - ირენე სკალვინი (პ/ნ 01030053980).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საპროექტო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ეროვნული ვალუტა ბანკში	939,591.31	696,236.39
	939,591.31	696,236.39

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	65,538.09	42,076.91
გადახდილი ავანსები	750,636.83	288,550.16
	816,174.92	330,627.07

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გაწეული ხარჯები	2,980.08	2,980.08
საგადასახადო აქტივი	104,864.84	96,972.48
	107,844.92	99,952.56

6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2018	წმინდა ცვლილება	31.12.2019
ისტორიული ღირებულება			
შენობები	376,474.73	1,400.00	377,874.73
ოფისის აღჭურვილობა	97,657.25	17,586.42	115,243.67
კომპიუტერული ტექნიკა	205,637.07	19,271.83	224,908.90
სატრანსპორტო საშუალებები	60,204.02	13,935.00	74,139.02
არამატერიალური აქტივები	286.45	-	286.45
	740,259.52	52,193.25	792,452.77
აკუმულირებული ცვეთა			
შენობები	(186,673.00)	(4,659.00)	(191,332.00)
ოფისის აღჭურვილობა	(87,651.54)	(11,618.41)	(99,269.95)
კომპიუტერული ტექნიკა	(164,850.82)	(8,054.87)	(172,905.69)
სატრანსპორტო საშუალებები	(120,819.01)	(2,994.00)	(123,813.01)
არამატერიალური აქტივები	(282.19)	(43.14)	(325.33)
	(560,276.56)	(27,369.42)	(587,645.98)
საბალანსო ღირებულება			
შენობები	189,801.73	(3,259.00)	186,542.73
ოფისის აღჭურვილობა	10,005.71	5,968.01	15,973.72
კომპიუტერული ტექნიკა	40,786.25	11,216.96	52,003.21
სატრანსპორტო საშუალებები	(60,614.99)	10,941.00	(49,673.99)
არამატერიალური აქტივები	4.26	(43.14)	(38.88)
	179,982.96	24,823.83	204,806.79

7. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
მომწოდებლები	1,766,709.42	1,172,945.95
მიღებული ავანსები	64,784.48	65,690.27
	<u>1,831,493.90</u>	<u>1,238,636.22</u>